ეროვნული ბიბლიოთეკა

1885 — 1889

თეატრი

1889 წ. № 31, 32 და 33. ოქტომბრის 22

გაზეთი ღირს: ერთის წლით—5 მ. ნახევარის წლ.—3 მ. ცალკე ნომერი—15 კ.

ხელის-მოწერა და წერილების გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Тифлисъ, Вторая Нагорная ул., д. № 9. Петру Миріанашвили.

რედაქცია არ კისრულობს, წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.

გაზეთში დასაბეჭდად გამოგზავნ ლ წერილებს უნდა ჰქონდეთ მოწერილ სახელი, გვარი და ადრესი ავტორის.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 24 ოქტომბერს

ქართული თეატრის არტისტები წარმოადგენენ

ახალ პიესას

ჯადო სიძვაოულისა

დრამატიული ეტიუდი 4 მოქმ. ა. ხალაძისა.

კაცის ლონეს ქალის ხერხი სჯობია. ვოდ. 1 მოქ. გ. სოფ—ვისა.

მონაამაშენი: ქ-ნი სოფა ბოროგოვისა, ვალოგოვისა, ტატა-შვილისა; ბ-ბ. ანამიძე, ძაჩიბელი, ცაგარელი, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

თბილისს, ოქტომბრის 22-ს.

მეცხრამეტე საუკუნე უფრო ერთა ალორძინებისა და მოძრაობის საუკუნეა. ამ საუკუნეში ყოველი ერი, რომელსაც სრულიად განსხვავებული ენა, ზნე-ჩვეულება, ისტორია, ტრადიციები, თვისის ცხოვრების შესაფერი კულტურა აქვს, მაგრამ-კი დროთა ვითარებას, ან გარეგან პირობათა ზედგავლენას ან შინაგან დაწესებულებათა ყალბს აგებულებას, ერთის სიტყვით რამე უკულმართს გარემოებას, მოვლინებას დაუნაწილებია და დაუსუსტებია, საკვირველის თავგანწირულებითა და სისწრაფით ცდილობს კვლავ შეერთებას, გაერთსპეულებას, ისევ თვისს სამზღვრებში შესხვლას, ბუნებრივს კალაპოტში ჩადგომას.

ვიმეორებ, ეს თავგანწირულება და სისწრაფე თითქო ისეთი პირობაა, ურომლისოთაც დაუძლურებულს ერს უსათუოდ სიკვდილი მოელის.

ჩვენის აზრის დასამტკიცებელ საბუთად ევროპის ახალი ისტორია ბევრს მაგალითს იძლევა. ერთის მხრით ვხედავთ საბერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნეთს, სერბიას, რუმინიას, ვენგრიას, იტალიას და სხვათა, რომელნიც სრულიად აღორძინდენ და უცხოთა მძლავრობას გადურჩნენ და მეორის მხრით, მაგალითად გერმანიას, რომელიც თვისის ერის საზღვრებშივე ჩადგა და მით გაერთდა.

ამ ერთა მოძრაობის ყურად საღები მხარე ის არის, რომ არც ერთი მათგანი არ აღორძინებულა ისე, რომ თვითონ ნივთიერად, თუ ჯაფით მსხვერპლი არ მიეტანოს, დიდი მონაწილეობა არ მიელოს თვისის ბედის გადაწყვეტაში. დიდის ხნის მეცადინეობა დასჭირდათ; ხოლო როცა დაიმსახურეს საყოველთაო სიმპათია. სიყვარული და თანაგრძნობა, მაშინ მათი მოქმედებით გატაცებული სხვა ხალხებიც მიეშველნენ მათ. აქიდამ სჩანს, რომ არც ერთი ერი ისე არ აღორძინებულა ყოველ მხრივ, რომ ჯერ პირველად თვითონ არ გამოეცხადებინოს ამ აღორძინებისა და გაუმჯობესობის სურვილი და ეს სურვილი საქმით არ დაემტკიცებინოს.

ის ერნი-კი, რომელთაც ამ მოძრაობის გზაზე შემოღამებიათ ან ცდილობენ გვერდი აუხვიონ მის კანონებს, იძულებულნი იქნებიან ისტორიის განჩინებას დაემორჩილონ.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილ ერთა აღორძინება საკმაოდ უნდა ამტკიცებდეს იმ აზრს, რომ ერი მართლაც ზნეობრივი სხეულია, რომელიც არ არის დამოკიდებული მოქალაქობრივს ცვლილებასა და ამბოხზე, რადგან მისი თან-დაყოლილი თვისება ხელს უშლის ორგანიზმოს გახრწნას და სიკვდილს ეწინააღმდეგება.

მაგრამ ვინ იცის? ეგების არც ეს იყოს მართალი! ვის შეუძლია ბუნების სილრმის განჭვრეტა და მისი გაზომვა...: ეგების იმ ერთათთვის, რომელნიც ვერ მოასწრებენ გამოღვიძებას, ბედითა და შემთხვევით სარგებლობას, მეოცე საუკუნე უგრძნობელი დარჩეს. მაშინ ამ დაგვიანებულებმა იმედი უნდა დაიწყვიტონ და ვოლტერის სიტყვები გაიმეორონ:

Quand on a tout perdu,
Quand on n'a plus d'éspoir,

ეროვნული ბიბლიოთეკა

La vie est un approbe,
Et la mort un devoir.*)

ონგკოლელი.

ახალი ამბავი

ამ თვის ჩვიდმეტს ქართველი არტისტების ამხანაგობამ წარმოადგინა საყვარელის ნაგზიერის არტისტის ბ-ნი გ. აბაშიძის საბენეფისოდ „ოლოდინი“ რუსულიდამ თარგმნილი სამ მოქმედებიანი კომედია და „ბაიუმი“ ორ მოქმედებიანი კომედია-თვარსი, რომლიც ეკუთვნის ჩვენის ნაგზიერის დრამატურგის ა. ცაგარელის კალამს. ხალხი საკმაოდ იყო. დაწყების უმალვე მსახიობთა გუნდმა დუკრა რუსული საერო ხმა „ღმერთო თვარვიდე მეფესა“ და საზოგადოებამ თვისზე მოისმინა. მერე დაიწყო თვით წარმოდგენა. საზოგადოებას ეს ბიესები ბევრჯერ უნახავს, მაგრამ ისეთი ინსაბმლიკი, როგორიც შეხვედრიდა ამ ბიესებს, იშვიათი სანახავია ქართულს სცენაზე. ხმირად სედავდა ადამიანი ერთად მოთამაშეს. კ. აბაშიძეს, კოტე ყიფიანს, გაბუნიას, საფარაოვის ქალს და სხვათა, რომლებიც რიგიერ ჯადო ისე მოქმედებდენ სიცილად გადაქცეულ საზოგადოებაზე. ამათი თამაშის დაფასება, ვგონებთ, ძნელი იყოს, რადგან არა ერთხელ და ორჯერ ყოფილა განხილული მათი გონიერული თამაშობა, სეფოვნურად თავის დაჭერა, მიხრა-მოხრა და სხვა. აქ მხოლოდ იმას გიტყვით, თუ როგორ დახვდა საზოგადოება საყვარელის არტისტის ბენეფისს. გულწრფელს თანაგრძნობას, ხანგრძლივ ტაშს ცემას და გამოწვევას დასასრული არ ჰქონდა. კ. აბაშიძის კომიზმი სწორედ ჯადოა, ფერდებზე უნდა ეჭიროს კაცს სული, რომელ იგი ინსაკუთრებით ტერ-ფუქსიანტიანების როლში. ისედაც მოხდა. ერთს

*) რომ ყველაფერი ბაბექარწყლებია
და სასოება ბავქვს წარგვეთიოლი,
მაშინ სიცოცხლე ბეიწახს სიძრახად,
დაბეჩავებულთ ბეძართებს სიკვდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყურებელთაგანს ისეთი სიცილი აუვარდა, რომ კინაღამ გადიქცა და კარში გავარდა. ღრმა პატივის ცემის ნიშნად ბენეფიციანტს მიართვეს დაფნის გვირგვინი, საქართველოს სამოსელ, ფარტ-სიგარი, მუშტუკი ვერცხლისა, ჩაის სტაქანი კოკზით ოქროში დაფერილი, და ყავის სერვიზი ჩინური ფარფურისა და სხვ. მხოლოდ სასაყვედურო თვითონ ადმინისტრაციას თეატრისა. ავადოვის ქალის ბენეფისზედაც და ეხლაც ფარდა დროზე ვერ ჩამოუშვეს.

ზავხულის უკანასკნელი ვარდი

(ინგლისურიდამ.—თომა მურისა)

ეგ ზავხულის ხოლო ვარდი
დარჩა, ჰყვავის და მარტოა;
ყველა მისი ტოლი დაღრა,
წავიდა და ეგ დასტოვა;
მისი გვარის არც ყვავილი,
არც კვირტია მოსავლისი,
მისცეს ოხვრა ოხვრისათვის
ან უკუ სცეს ფერი მისი.

არ დაგტოვებ მე შენ მარტოდ
ღერზე, დარდით, რომ იქშენო:
საყვარლებს თუ დაეძინა,
მათთან უნდა მოისვენო;
მო, თავაზით დაგიფანტო
კვალზე შენი ეგ ფოთოლნი,
სადაც გდიან მკვდარ უშველად
გაღეულნი შენი ტოლნი.
ბგრემც ჩქარა მე თან წავყვე,
ძმობა თუა წარმავალი,
ან მძიეს მბრწყინავს სიყვარულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასცვინდება ძვირი თვალი:
ერთგულები თუ გაფრინდა,
ამ ფერ მიხდილ ქვეყანაში
სასიცოცხლოდ რაღა მინდა?

ჟოზეტტა

(მოთხრობა ანდრე ტერიესი.—ფრანგულიდამ.)

იყო ერთი პოეტი სახელად მარიუს პინეროლ. იგი იყო კეთილი გულის ყმაწვილი კაცი, შაეგვრიმანი, შავთვალ-წარბა: ჰქონდა გამჭრახი თვალები და პატარა ლამაზი წვერი. მარიუს იყო პროვანსელი; უდროოდ მიცვალებული მამა პირონელისა კარგი შეძლებული გლეხი-კაცი იყო. ათი წლის იყო მარიუს როდ ობლათ დარჩ; დასტოვა თავისი სოფელი და წავიდა პარიჟს თავის შორებელ ნათესავთან, რომელიც ბისი აპეკუნი იყო და რომელსაც უნდოდა მარიუსის სასწავლებელში მიბარება. პარიჟში მარიუს იზრდებოდა სწორეთ იმ დროებში, როდესაც ახალგაზდობა უდროოთ კარგვიდა ხალისს 1870 წ. ომის გამოისობით.

როდესაც მარიუს ოცდა ერთის წლის შეიქმნა და მიიღო თავისუფლება და თან ხვდა მას მამის დანატოვარიდამ 10 ათას მანეთამდის წლიური შემოსავალი, თავი მისცა ყოველ ნაირ დროს გატარებას და შექცევას, რომლითაც ასე მდიდარია დიდი ქალაქები საზოგადოდ, და პარიჟი კი განსაკუთრებით, მით უფრო რომ მარიუსს ჰქონდა ჯიბე გვარიან კარგად გავსებული. მაგრამ მარიუსს მალე მობეზრდა ამგვარი ცხოვრება, რადგანაც იგი იყო პატრონი პოეტიურის ნიჭისა, რომელიც თავს არ იმალვიდა. ხშირად მარიუს ლექსებსაც სწერდა. პირველმა მისმა წიგნაკმა დიდი ჩაჩქოლი ასტეხა ლათინთ უბანში; ერთმა გაზეთის თანამშრომელმა მთელი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაეე წერილიც-კი უძღვნა მის წიგნაკს და ამ წერილის შემდეგ მისი წიგნაკი: „Les Angoises“ იყიდებოდა როგორც რომ პური.

ცოტა ხნის შემდეგ მარიუს გახდა მოდის პოეტათ; წარჩინებულ საზოგადოებაში ბაასობდნენ მის ნაწარმოებზედ, მაგრამ ერთმა დიახ გამოჩენილმა აქტრისამ დაიპყრო მარიუს გული და სამუდამოთ წაართვა საზოგადოებას. ისინი წავიდნენ საცხოვრებლად ერთ პატარა სოფელში ბრეტონის მხარეს. მე არ ვიცი რომელმან პირველად დარღვია მათი მეგობრობა, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ ცოტა ხნის შემდეგ მარიუს მობრუნდა პარიჟს ძალიან თავ-მობეზრებული იმ თეატრის დედოფლისაგან. წლინახევრის შემდეგ მარიუსმა გამოსცა მეორე წიგნი, რომელშიაც მოაქცია მისი საუკეთესო ლექსები და ამით უნდოდა მოეგო ყურადღება მთელი საზოგადოების. მოლოდინი გაუცრუედა, მეორე წიგნმა არაფერი ყურადღება საზოგადოების არ მიიზიდა, მარიუს შესწუხდა და გულიც მოუვიდა, მაგრამ რას იზამდა. ამ დაუმსახურებელმა ყურად უღებელობამ ისე მოშხამა მარიუსის გული. რომ ჯავრით კიდევაც სტიროდა. ამ დღიდამ იგი ხშირად იწყეველიდა თავის დაბადების დღეს. L'humaine infelicité! (კაცობრიები უბედურება) იყო მისი ყოველ დღიური გამოცხადება და ლეოპარდი გახდა მისი პატივსაცემი პოეტი. ქუჩის ამბავი, გაზეთების კითხვა ძას გულს უწუხებდა; პარიჟული მხიარულება მას ეჩვენებოდა მსგავსად საგიჟო სახლების ავადმყოფობისა. ერთ იენისის საღამოს მთელი არსება ისე მოეშალა, რომ გადასწყვიტა მოგზაურობა. ჩაჯდა რკინის გზის მატარებელში და გასწია აღმოსავლეთისკენ მარტო მისთვის რომ გამოეცვალა ადგილი საცხოვრებლად. მარიუსს არ ჰქონდა გადაწყვეტილი რომელ ქალაქში გაჩერებულიყო, მხოლოდ ის კი ჰქონდა ფიქრად, რომ გაჩერდებოდა იმ ქალაქში, რომელიც მას მოეწონებოდა.

ერთ დილას მივიდა ანნენსის ტბის ნაპირად, შეხედა დიდს გემს, რომელიც ემზადებოდა წასასვლელად, ჩაჯდა შიგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გასწია. როდესაც გემი მიუახლოვდა სოფელ ტალლუარს, მარიუსმა იგრძნო არე-მარეს მშვიდობიანობა და მას ძალიან გაუხარდა.

— ეს საჩემო ადგილია! თქვა მარიუს პინეროლმა. მან მიატოვა გემი და დადგა აბბეში, ერთ დიდ ოთახში, რომელიც წინეთ იყო ერთის მლოცველისა. იქ, მან იშოვნა დრო გადაეკითხა პოემა თავის საყვარელ მაცხოვლებელის ლოპარკისა. არავინ მას არ აწუხებდა, არც ჟურნალ-გაზეთები მოსდიოდა, მარიუსმა თავი მისცა დავიწყებას, ჩაფლულმა განუსაზღვრელ მშვიდობიანობაში, — რადგან ერთის მხრით ხედავდა მიწყნარებულს ტბას და მეორეს მხრით დადუმებულს მთებს. მხოლოდ ერთად ერთი გაელა გემისა მოაკონებდა დრო და ქამის გაელას და ჭრიჭინი ჭრიჭინებისა— დღის გათავებას და დაღამებას. მარიუს გამოდიოდა ძალიან ძვირად, მხოლოდ ხანდისხან გამოდიოდა გასასეირნებლად ტბის ნაპირზედ, რომ დამტკბარიყო ტბის სამშვენიერის ცქერით მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ მარიუსმა გაიარა მენტონისაკენ და მივიდა ერთ მემამულესთან სახელად ბალმეტთან. ეს მამული მიტოვებული იყო, მისი მშვენიერი დაუმუშავებელი ბალღბით მარიუს ახსენებდა თავის მდგომარეობას. დიდი ხეები ჩაფლულიყო ნახევრამდის მყრალ ბალახებში, ეს ყველაფერი ახარებდა მარიუსს.

ერთ დღეს დაიარებოდა მარიუს მიტოვებულ სამოსახლოში და ჯოხით გლეჯდა მყრალ ბალახებს, როდესაც უეცრივ უკნიდან მოესმა ეს სიტყვები: Eh, bien' ნუ სწუხდებით!. ისე იყავით, როგორც თვენ სახლში.

მარიუსმა შეხედა. მოხუცებულ სამოცდა ათის წლისას, რომელიც იდგა მის წინ; მოხუცებულს ეცვა ტილოს შარვალი და შავი გრძელი სერთუკი. პერანგის საყელოზედ არ ჰქონდა ყელ სახვევი, და მოუჩნდა ჭაღარა ბანლიანი გული. ჩალის ქუდი ქვეშ მოჩნდა პირის სახე მოხუცებული პირმოპარსულის კაცისა, ნაზი სახის იყო, გამჭრიახი თვალები სქელი წარბები ჰქონდა მომხიბლავი კაცის პირი ძალიან ფართე უჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავდაპირველად, მიუგო მარიუსმა გაჯავრებით, მე იმდენად ვარ ჩემსას, რამდენად ც თქვენ ბრძანდებით თქვენსას, ეს მამული არის მიტოვებული პატრონებისაგან, და ამას გარდა მე რომ ვგლეჯ, ეს ცუდი ბალახებია და ამით დიდ სარგებლობას ვუშვრები მემამულეთ...

— შემცდარი ბრძანდებით ჩემო ბატონო, შესძახა მოხუცებულმა; პირველად: მამული. მეპატრონესაგან მიტოვებული არ არის, და მეორედ, რომ შემამულეთ უყვართ ის ცუდი მყრალი ბალახი, რომელსაც თქვენ ეგრე უკითხავთ გლეჯთ და აფუჭებთ.

— თქვენ კი რა იცით?

— მე ვიცი, მით უფრო რომ, მე თვით მეპატრონე გახლავარ. მარიუსმა, გაკვირვებულმა წარმოთქვა რამდენიმე ბოდიშის მოსახდელი სიტყვა, და მოინდომა წასრულიყო, მაგრამ მოხუცებულმა გადულობა გზა.

— არაფრის გულისთვის, მიუგო მან, დღეს თქვენ ბრძანდებით ჩემი ტუსაღი და ამისთვის ძე არ მსურს, რომ თქვენ წაბრძანდეთ და გულში ცუდად ჩაგაჩნდეთ... ჩვენ ორმა უნდა დაეცალოთ ერთი ბოთლი ჩემი ღვინო ტალუარისა.—

მან შეიყვანა პოეტი სახლის პირველ სართულში, რომელიც ერთ და იმავე დროს იყო პურის საჭმელი ოთახი და საძინებელიც, თვითონ ჩავიდა სარდაფში, საიდამაც ამოიტანა ერთი ბოთლი და ორი ჭიქა. რამდენისამე წამის შემდეგ ისინი ისხდნენ ტაბლასთან, სვამდნენ ღვინოს და ძალიან ძინაურულად მოსაიფობდნენ.

ამ კარგმა შუშხუნა ღვინომ ძალიან გულ ახდილად დააწყებინა მათ მუსაიფი, მარიუსმა უამბო თავისი თავ გადასავალი. იმანაც თავისი. მას ერქვა ლეტრაზი, დიდ ხანს იყო ეიძად. ძაგრამ ერთხელ რომ წამოკიდა ანნესს; ლეტრაზი ძერმედ ალარ ბრუნდებოდა ბალმეტს, თუ არ ყურძნის მოკრეფის დროსა. ლეტრაზი იყო ძალიან მხიარული კაცი, ხუმარა, კარგი განათლებულიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უწინდელ დროში, უთხრა მარიუსს, ბელმეტი არ იყო ასეთი მიტოვებული მხარე, როგოლაც თქვენ ხედავთ დღეს. იმ დროებში მე ვალაძაზებდი და ვწმენდი ეზოს და ბაღს სხვის სასიამოვნოდ... ეხლა კი, მე მარტო ვარ, როგორც ბუ და ჩემს გემოზედ ვაკეთებ... მე მეზარება გაწმენდილი და გამშვენიერებული ბაღები; მე მიყვარს ნახვა თავისუფლად ამოსრულის ბალახების?.. რა გინდათ?.. რამდენათაც მე მგრძნობ რომ სიცოცხლე მაკლდება, იმდენად მე ვინდა რომ მქონდეს ხანგრძლივი... ყოველის ჩემ სურვილზედ უფრო მე მიყვარს სიცოცხლე!

ამნაირი აზრი სრულებითაც არ იყო მარიუს პინერალის და იგი არ შეწუხებულა რომ წარმოეთქვა თავისი აზრი კაცის უბედურებაზედ. ლეტრაზი ისმენდა მარიუსის ლაპარაკს ემმაკური შეხედულობით და დან ცოტ-ცოტა ულაპავდა ღვინოს და წევდა მხრებსა.

—რამდენი წლის ბრძანდებით თქვენ? კითხა მან... ოცდა ოთხის? და თქვენ ბედნიერ ხართ ჩვენ ილს!.. Eh! par bleu! მე კარგად ვიცი, ცხოვრება არ არის შემდგარი ყველა ბედნიერი დღეებისაგან. მე მინახავს გაჭირვება აგერ სამოცდათხუთმეტი წლიდამ! მე, თქვენ რომ ბელაპარაკებით, ბატონო მყავდა ცოლი რომელიც ძალიან მიყვარდა და რომელიც მაკლია; მე მყავდა ორი შვილი, ისინი მე გამიფუჭდა, და ცუდათ წაიყვანეს თავიანთი თავის საქმე და ბოლოს მე დავტოვეს მარტო სახლში... ცხოვრება, ჩემი ძვირფასო მეგობარო ეძაში კი არ მდგომარეობს რომ იყო ბედნიერი, გიყვარდეს, მოქმედებდე და სხვა!..

ბაასი გაგრძელდა საღამოამდის და ისინი დაცილდენ ერთმანერთს საუკეთესო მეგობრებად.

— მოდით ხოლმე ჩემ სანახავად, უთხრა პოეტს ლეტრაზმა, ჩვენ ძალიან მოვხვდით ერთმანერთს; აჯობს გარდა თქვენ ცოტა არ იყოს ავათაც ბრძანდებით და ეს თქვენი ავადმყოფობა ძალიან დასაფიქრებელი ... მე ძსურ თქვენ მიგარჩინოთ! .ეხლა კი მე თქვენ გირჩევთ სეირნობას გაშლილ ადგილ-

ზედ ნაცვლად სახლში ჯდომისა დაიარეთ გენ-ლანფორში ან და ტურნეტში. ეს თქვენ მოგიხდებად. რადგანაც სისხლი თქვენი უფრო მუშავდება და გაგიქარვებს დარდს... მობრუნებისას თქვენ გამომიარეთ და ერთ დ დავლიოთ ჩემი ბალმეტის ღვინო, და ერთი თვის შემდეგ თქვენ მითხარით შედეგი!..

II

მარიუს არ იყო დიდი მოსიარულე. ივნისის დილას გაეღვიძა და გადაწვიტა შეესრულებინა მოხუცი ექიმის რჩევა.

აიღო ჯოხი ხელში, გაივსო ბოთლი რომით და გასწია ნანტისაკენ. დიდის გაჭირვებით გაიარა პირველი აღმართი და როდესაც მიაღწია სოპზას, გაუჭირდა, დაიწყო ქუშინი და გაჭირვების ოფლმაც დაასხა. ფეხებ დასუსტებული, გულ აძგერებული მივიდა უკანასკნელ ადგილამდის და დაეცა თავის გრძელ მოსახურავზედ.

ქ.რის ქროლამ, სასიამოვნო ჰაერმა და მწვანე ბალახის სუნმა მალე მოიყვანა გრძნობასა და გადახედა მიაწინ მდებარე ტურნეტს. მარიუს კვდებოდა წყურვილით, ძალიან გულით უნდოდა დაელია ერთი წრუპი წყალი, მაგრამ სად მოერახა. იარა დიდის გაჭირვებით პატ.რა სახლისაკენ და ნახა, რასაც ეძებდა: ამ სახლის წინ მიდოდა მშვენიერი ანკარა წყალი. რომელიც მომდინარეობდა მშვენიერ ხის ღარში და სამუსიკო ხმით ეცემოდა გახეთქილ ხეზედ-პოეტს ჰქონდა რომი, წყალი მოდიოდა ანკარა, მას აკლდა მხოლოდ ერთი ჭიქა. დაუპირდაპირდა მოსახლეს, მიუახლოვდა თუ არა, გაიღო კარები და გამოჩნდა ყმარწვილი ქალი ჩვიდმეტ თვრამეტი წლისა.

იგი იყო შუატანის ქალი, ჯერ კიდევ სუსტი და გამხდარი, მაგრამ დი.ხ კარგი წარმოსადეგი. თავ-შიშველა იყო, ხუჭუჭა თმა ჰქონდა დამაგრებული რქის საფარცხლით; მას ეცვა მხოლოდ შალის კაბა ლურჯი დიფითა; კაბის ქვეშ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ და შიშველი ფეხები და წიგნები. სახე ძალიან ეშხიანი ქონდა, შუბლი, ჭკუიანი თვალები — დიდი ლურჯი და ბრწყინვალე.

— Pardon, ი კითხა მარიუსმა, მეგიძლიან ძათხოვოთ ერთი ჭიქა წყლის დასალევათ?

— დიდის კმაყოფილებით, მიუკო ქალმა ღიმილით, მობრძანდით და შეისვენეთ ცოტა... მე თვითონ მოგართმევთ ახალ წყალს.

ყმაწვილმა ქალმა აიღო სურა და გავიდა წყლის მოსატანად; მარიუს კი დაჯდა.

მარტო რომ დარჩა მარიუსი სახლში დიდს ყურადღებით ათვალიერებდა სახლის მოწყობილებას. წინ კარი იყო უიატაკო და თვით სახლიც გვარიანად ბნელი იყო, რადგანაც სინათლე მხოლოდ კვამლის გასავალი კარიდამ შედიოდა. სახლის მოწყობილობას შეადგენდა ერთი, უჯრა ერთიც ტაბლა და რამდენიმე სკამი. ერთ კუთხეში მოჩანდა ღვთის მშობლის ხატი, რომელიც შემკობილი იყო იქვე მინდვრად მოკრეფილი ცოცხალი ყვავილებით. ღია კარებთან დაღიოდნენ ქათმები და კაკანებდენ. ყმარწვილმა ქალმა რომ შემოიტანა საესე სურა, ქათმები გაიფანტნენ.

— მომიტევეთ, უთხრა ყმაწვილმა ქალმა მარიუსს, და მიაწოდა ჭიქა ნახევრად გავსებული წყლით.

— ნუ თუ თქვენ მარტო ხართ ამ სახლში? კითხა მარიუსმა.

— ოჰ! არა, მაგრამ დღეს კვირაა, დედა და მამა ეკლესიაში არიან, ტონში, და ჩემი ძმები და დები ჯოგს უვლიან მთაზედ.

— თქვენ ბევრი ხართ ბავშები?

— შვიდი... ეს კარგი ჯარია? ყმარწვილი ქალი ამ სიტყვებს ამბობდა სასიამოვნო სიცილით რომელიც ისე ცხადათ იხატებოდა მის ტუჩებსა და თვალებზედ. ლაპარაკობდა უბრალოდ, მეგობრულად; და კიდეც უხდებოდა მის ჩაცმულობას.

— თქვენ უმფროსი ხართ? კითხა კიდევ მარიუსმა.

— არა, მე მყავს ძმა, რომელსაც ოცი წელი უსრულდება.

— მაშ, რამდენი წლისა ხართ თქვენ?

— მე, მე შევიქმნები 18 წლის სულის წმინდის მოფენას, ჩემი პატარა და თექვსმეტი წლისაა.

— თქვენ ცხოვრებთ ყველანი ამ სახლში?

— ყველანი, ოქტომბრის თვის დამლეგამდის, და მერმედ კი ჩვენ მივდივართ ტრონში საზამთროთ.

ამ ლაპარაკით ყმარწვილი ქალი მიდი მოდიოდა სახლში და ხან რძეს ასხამდა ჭურჭელში, ხან რას და ხან რას.

— არ გაშინჯავთ ჩვენს რძეს? კითხა ყმაწვილმა ქალმა და მოუტანა მთელი დიდი საწველი საგსე თავ-მოუხდელი რძე.

— მადლობელი ვარ... მე უნდა დავბრუნდე ტალლორში, მიუგო მარიუსმა.

მარიუსი ადგა და დაუწყო ყურება ღვთის მშობლის ხატს და მასთან ცხოველ ყვავილებს.

— თქვენ მოკრიფეთ ეს ყვავილები?

— დიახ.

— იცით მათი სახელები?

— მე მგონია, რომ კი...

— თქვენ სწავლული ყოფილხართ!... სად გისწავლიათ თქვენ?

—ტრონის მონაზვნებთან, სადაც მე ვიყავი თორმეტ წლამდის.

— თქვენი სახელი?

— ქოზეტა .. ქოზეტა ბასტიანი.

ეს მშვენიერი სახელია... ნახვამდის

M-lle ქოზეტა, მე თქვენი მადლობელი ვარ, ამ სიტყვებს რომ ეუბნებოდა მარიუსმა ჩაუგდო ერთი ვერცხლის ფული ქოზეტას ხელში.

ქოზეტას შერცხვა, გაკვირდა და გაწითლდა.

— ოჰ! Monsieur, ეს ნამეტანია! წ რმოიღგინეთ!... ერთი ჭიქა წყალისათვის!

— მაშ, ეს იქნება იმ სამსახურისათვისაც, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ მე გამიწევთ მომავალში აქ .. მოვეცით თქვენი ხელი?

ქოზეტმა გაუნაზებლად მისცა ხელი და დაულოცა გზა.

მარიუს იმ საღამოსვე მოვიდა ბალმეტს და უამბო თავისი მოგზაურობის ამბავი M r ლეტრაზს, დიდის აღტაცებით და სიამოვნებით ეუბნებოდა M-lle ქოზეტის ამბავს და მისი სახლისას. ამ უკანასკნელ ამბავზე უფრო ხშირად მოგბრუნდებოდა.

ჰე, ჰე! ეშმაკურის სიცილით დაიწყო ლეტრაზმა. როგორ აღელვებული ლაპრაკობთ თქვენ იმ პაწია ქალიშვილზედ!... ხომ არ შეგყვარებიათ? თუ ასე არის, თქვენ ჯავრი მაინც გაგიელისთ ჩვენებური. სოფლის ქალიშვილები სრულებითაც არ გვანან პარიქის ხასიათ გაფუჭებულ ქალებს.. ესენი არიან ძალიან ჭკვიანი და წინ დახედული და თავის დღეში ნებას არ მისცემენ ვინმე უცხოელს გაუარშიყდენ.

— შეყვარებული? წამოიძახა მარიუსმა მხრების აწევით; სიყვარული, ჩემო კარგო მეგობარო, საწამლავია, რომელიც კარგად მაქვს გაშინჯული, და ჩემზედ ვერაფრად მოქმედებს..

ამ სიტყვებს მიუხედავათ მარიუსი ორი დღის შემდეგ ხელ ახლად დაბრუნდა ტურნეტს ქოზეტას მთელი ოჯახობის გასაცნობათ. მან ისაუბმა ქოზეტასთან, მის დედ-მამასთან, და უმფროს ძმასთან, მორისესთან. რძე, ერბო და პური ქოზეტას ოჯახში ძალიან გემოიანი ეჩვენა მარიუსს. მარიუსმა ხშირად დაიწყო სიარული მათთან და ხანდისხან მთელ დღეებს ატარებდა მათ საზოგადოებაში. საჩუქრები მიჰქონდა ბავშებთან და ისე შინაურად იყო, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. მამა ბასტიანს არაფერი ეჭვი არ აუღია ამ პარიქელ სტუმრის სიარულზედ, ქოზეტა სულ იმავე მხიარული და ამხანაგური ლიმილით შეხვდებოდა მარიუსს. —მარიუსს მოაგონდა თავისი ბავშობა, გატარებული სოფელში, და დიდის ყურადღებით გამოჰკითხავდა ბასტიანს ხეხილის, მიწის მუშაობის ამბავს, ასე რომ ბოლოს კიდეეაც რცხვენოდა მოგონება, თუ როგორ უყვარდა მას პარიქის ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ ფერს ერჩია მარიუსს ქოზეტასთან მუსაიფი, და რამდენათ დრო გადიოდა მარიუსი ხედვიდა, რომ ქოზეტა უფლო გაზდილი იყო, ვიდრე მას წარმოდგენილი ჰქონდა. ამ საკვუას მაგრეზედ შკოლები სავსეა ბავშვებით და როდესაც კი დროს იშოვნიან მწყემსები ბევრს წიგნებს კითხულობენ. ქოზეტასთან მუსაიფი ყოველთვის სასიამოვნო იყო, რადგანაც ძალიან კარგი პასუხი ესმოდა. როდესაც ერთხელ მუსაიფობდენ მარიუს მიჩერებოდა ქოზეტს და ვერ ძღებოდა მისი თვალების სიცხოველით და სილამაზით.

— იცით რომ თქვენ ძალიან ლამაზი ხართ m-lle ქოზეტა? წარმოიჩულჩულა უეცრივ მარიუსმა.

— არც ძალიან კარგი და არც ძალიან ცლახა... ისე როგორიც ბევრნი სხვანი არიან, მიუგო მან.

— არა, არა, თქვენ სწორედ ძალიან ლამაზი ხართ... როგორ, თქვენთვის არასოდეს არ უთქვამთ?

— ჩემმა მზემ, რომ რა, არავის,

— მაშ, მე თქვენ გეუბნებით, წამოიძახა მან ისე ხმა მაღლა, რომ ქოზეტს კიდევაც შერცხვა.

დასწია ქოზეტამ თავი, გაისწორა თავისი კაბა. ადგა და წავიდა სახლისაკენ.

აქ გათავდა მუსაიფი და მარიუს ძილიან შეწუხებული დაბრუნდა ტალოუარში. როდესაც გამოჩნდა ბალმეტს M-r ლეტრაზმა გამოუცხადა უკმაყოფილება რომ ასე ხშირად დაიარება სოფლებში.

— მრთლაო, თქვა ლეტრაზმა, თქვენი ნაცნობი ახალგაზდა ქალი რას შვრება, რისთვის არაფერს იტყვით? ეხლა-კი ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, რომ თქვენ გხედვენ ნანტისაკენ ხშირად?

— დიახ, მე რამდენჯერმე ვიყავი იმ მხარეს.

— ჩემთვის თქვენ ერთი სიტყვაც არ გითქვამს? იცით ეს რას ნიშნავს?

— არა.

— იმას ნიშნავს, რომ თქვენ შეგყვარებიათ M-lle ქოზეტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიუსმა უეცრად გადაასხვაფერა ლაპარაკი, მაგრამ როდესაც დაბრუნდა თავის სადგომში და კარგად მოიფიქრა, გადაწყვიტა რომ M-r ლეტრაზი არ სტყუოდა. მოტრფიალე პატარა მწყემ ი ქალისა? ფიქრობდა იგი, და ეს ,ი მართლა სახუმრო არ არის, და რას ნიშნავს ეს?... მის დამდაბლებას? ის არის პატიოსანი ქალი... მაშ უნდა შეევირთოს? როგორი სისულელეა... მართალია მეფესაც-კი შეურთავს მწყემსის ქალი. შესაძლებელია. მაგრამ პოეტებს-კი არ უქნიათ ამ ნაირი საქმე, მაგალითი აპოლონია... უნდა გავათავო ამნაირი სისულელე... მე აღარ წავალ იქ და მივატოვებ კიდევაც ტალუარს...

ორმა დღემ გაიარა და მარიუს აღარ წასულა ქოზეტის სინახავად, მაგრამ ტალუარი-კი არ მიუტოვებია. შემოდგომამ მოაწია, ყურძენი მწიფდებოდა ვენახებში, ყველანი მიდიოდენ ტალუარიდამ, და მარიუსი-კი მარტო დარჩა ამ სოფელში. მარიუსს მუდამ თვალწინ უდგა ქოზეტის სიცილი, მისი უბრალოკაბა, შიშველი ფეხები და მისი სასიამოვნო ლიმილი ტუჩებზედ.—მარიუს ძალიან ხშირად დღეებს ატარებდა პატარა ნავით სეირნობაში. ტბაზედ სეირნობაში მან შენიშნა ერთი ადგილი სახელად დუინი, საიდამაც კარგად მოჩნდა ნანტის მთები, ქოზეტას სახლიც, როგორც პატარა წერტილი, ამ ადგილს მარიუს რჩებოდა საათობით ხანდისხან და უცქერიდა ქოზეტის სახლს ეს ბავშობა არისო იტყოდა ხშირად მარიუსი, მაგრამ ხელ ახლად იგი იმეორებდა ამ მოქმედებას..,

ერთ საღამოს გაიგო რომ ჯოგი ჩამოდის მთებიდამაო. მეორე დღეს ადრიანად დადგა ნანტის გზას. მას უნდოდა კიდევ ერთხელ მაინც თავის სიცოცხლეში ენახა ქოზეტა. მიუახლოვდა თუ არა ქოზეტას სახლს გაიხედა და შეხედა, რომ ქოზეტა იდგა სახლთან და მისი ფეხის ხმაურობაზედ მოიხედა და, რომ შეხედა მარიუსს, უეცრად შეკრთა და ფერი ეცვალა.

— ღმერთო ჩემო! თქვენ ბრძანდებით? წამოიძახა გახარებით ქოზეტამ, მე მეგონეთ პარიჟში წასრული...

— არა, მე დავრჩი ტალუარში.

— თქვენ არ მოდით ჩემ სანახავათ!.. ავათ ხომ არ ყოყოფილხართ მაინც?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ოზეტ, მე დაბანდებული ვიყავი იქ... მაგრამ ბევრს ვფიქრობდი თქვენზედ.

ახირებულია. ფიქრი ხალხზედ, თქვა სიცილით ოზეტამ; ერთი დღე კიდევ და თქვენ ველარ გვეახავდი აქ!.. ჩვენ მივდივართ ეხლავე... მივდივართ ტონს.

მარიუს მივიღა ოზეტა დედ მამასთან გამოსათხოვებლათ; იმის შემდეგ მამამ და უმფროსმა შვილმა გამოდენეს ჯოგი, ოზეტა კი ჩამორჩა უკან, რომ დაეკეტა სახლის კარები. მარიუსმა გარეკა თითქმის ტონამდის, ორნივე იყვნენ ჩუმად.

— მაშ, მშვიდობით ჩემო ბატონო! თქვა უეცრად ოზეტამ.

— არა, მშვიდობით კიარა, ნახვამდიო!

— თქვენ არ მოდიხართ განა?

— არა, მე გამოვცვალე აზრი, მე იავატარებ ამ ზამთარს ტალუარს, მიუგო მან და თან უყურებ ა ისეთი სიტკბოებით, რასაც ოზეტა არ იყო ნაჩვევი.

სახე ყმაწვილ ქალს ცეცხლივით გაუხდა.

— მაშ უნდა მოხვიდეთ ჩვენ სანახავად ტონში! შესძახა ოზეტამ, ჩვენ ქილაქში კი არ ვცხოვრობთ, მაგრამ მის მახლობად მალნანტში... მიქვენ იცნობთ ჩვენ სახლს, დიდი კაკლის ხეს და მწვანე აივანს... მოდით, მოდით უსათუოდ, ჩვენ დაგარონიებთ ტონს, რომელიც ჩემის ფიქრით ძალიან მოგეწონებათ...

— მოვალ უსათუოდ, უთხრა მარიუსმა.

— მაშ ნახვამდის ჩემო მოწყალეო ხელმწიფევ!

ნახვამდის ოზეტა... ნებას მომცემთ რომ გაკოცოთ'

მარიუსმა მოხვია ხელები და უნდოდა ეკოცნა ოზეტასთვის. ყმაწვილმა ქალმა დასწია თავი და გაწითლდა,

— არა, არა ეს არ შეიძლება, წაიბუტბუტა ყმაწვილმა ქალმა, მაშინ ჩაიკრა დიდ ხანს თავის მკერდში:

— მე თქვენ მიყვარხართ, მიყვარხართ მთელი არსებით, უთხრა მარიუსმა დამტვრეულის ხმით.

ოზეტა უეცრივ გამოუხლტა ხელიდამ და გაექანა ჯოგისაკენ, იდგა და უყურებდა მარიუს მის კვალს, სანამ მთლად თვალიდამ არ დაეკარგა.

რედ-ქტორ-გამომცემელი ა. ნებიერიძე.

Дозв. ценз. Тифлисъ, 21 Октября. 1909 г. Типографія Гр. Чарквіані